

შპს „შავი ზღვის ტერმინალი“

ფინანსური ანგარიშგება

**2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად**

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	5-23

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „შავი ზღვის ტერმინალის“
ხელმძღვანელობას და პარტნიორს

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნა

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „შავი ზღვის ტერმინალის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ არსებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესსს-ის კოდექსი) და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება საქართველოში ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტს და შესრულებული გვაქვს ამ მოთხოვნებით და ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

კომპანიის 2023 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია კომპანიის 2023 წლის მმართველობის ანგარიშგებაში, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და ჩვენ მიერ მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და ჩვენ არც ახლა და არც მომავალში არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, ვალდებულები ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ გონივრული დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას. .

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- ▶ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- ▶ მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



ანა კუსრაშვილი (SARAS-A-169041)
შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)
თბილისი, საქართველო
2025 წლის 6 თებერვალი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	5	104,909	74,798
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	6	(49,367)	(35,135)
საერთო მოგება		55,542	39,663
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(5,437)	(5,095)
ძირითადი საშუალებების გაუფასურება, წმინდა	9	—	(4,306)
სხვა საოპერაციო ხარჯები	8	(3,669)	(6,218)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	8	4,443	4,712
საოპერაციო მოგება		50,879	28,756
ფინანსური შემოსავალი		516	169
ფინანსური დანახარჯები		(333)	(872)
წმინდა შემოსულობა საიჯარო ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტიდან	15	663	—
საკურსო სხვაობით განპირობებული (ზარალი)/შემოსულობა, წმინდა		787	(4,693)
მოგება დაბეგვრამდე		52,512	23,360
მოგების გადასახადის ხარჯი		—	—
წლის მოგება		52,512	23,360
სხვა სრული შემოსავალი, რომლის რეკლასიფიცირებაც არ ხდება მომდევნო პერიოდების მოგებაში ან ზარალში:			
ძირითადი საშუალებების გადაფასება	9	—	97,227
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		52,512	120,587

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად ნებადართული და ხელმოწერილია შპს „შავი ზღვის ტერმინალის“ სახელით 2025 წლის 6 თებერვალს:

გენერალური დირექტორი


 ილგარ ალაშვილი

ფინანსური დირექტორი


 მამუკა წულუკიძე

სრული შემოსავლის ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	5	104,909	74,798
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	6	(49,367)	(35,135)
საერთო მოგება		55,542	39,663
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(5,437)	(5,095)
ძირითადი საშუალებების გაუფასურება, წმინდა	9	–	(4,306)
სხვა საოპერაციო ხარჯები	8	(3,669)	(6,218)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	8	4,443	4,712
საოპერაციო მოგება		50,879	28,756
ფინანსური შემოსავალი		516	169
ფინანსური დანახარჯები		(333)	(872)
წმინდა შემოსულობა საიჯარო ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტიდან	15	663	–
საკუროს სხვაობით განპირობებული (ზარალი)/შემოსულობა, წმინდა		787	(4,693)
მოგება დაზღვევამდე		52,512	23,360
მოგების გადასახადის ხარჯი		–	–
წლის მოგება		52,512	23,360
სხვა სრული შემოსავალი, რომლის რეკლასიფიცირებაც არ ხდება მომდევნო პერიოდების მოგებაში ან ზარალში:			
ძირითადი საშუალებების გადაფასება	9	–	97,227
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		52,512	120,587

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად ნებადართული და ხელმოწერილია შპს „შავი ზღვის ტერმინალის“ სახელით 2025 წლის 6 თებერვალს:

გენერალური დირექტორი

ილგარ ალი-ზადა

ფინანსური დირექტორი

მამუკა წულუკიძე

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2023	2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	170,167	179,586
არამატერიალური აქტივები	10	3,520	3,643
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	5,278	–
სულ გრძელვადიანი აქტივები		178,965	183,229
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	11	5,826	2,402
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	25,448	18,907
გადახდილი ავანსები და სხვა აქტივები		649	1,579
საგადასახადო აქტივები, წმინდა		–	685
მოთხოვნები საფინანსო დაწესებულებების მიმართ	13	–	45,934
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13	106,602	12,314
სულ მოკლევადიანი აქტივები		138,525	81,821
სულ აქტივები		317,490	265,050
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	14	1,669,604	1,669,604
გადაფასების რეზერვი	14	101,912	101,912
დაგროვილი ზარალი		(1,466,709)	(1,519,221)
სულ საკუთარი კაპიტალი		304,807	252,295
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები	16	2,021	658
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,021	658
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	17	2,964	1,480
საიჯარო ვალდებულებები	15	–	3,953
ანარიცხები	18	3,347	3,347
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა		572	–
სხვა ვალდებულებები	16	3,779	3,317
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		10,662	12,097
სულ ვალდებულებები		12,683	12,755
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		317,490	265,050

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	საწესდებო კაპიტალი (მე-14 შენიშვნა)	გადაფასების რეზერვი (მე-14 შენიშვნა)	დაგროვილი ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
2022 წლის 1 იანვარი	1,669,604	4,685	(1,542,581)	131,708
წლის მოგება	–	–	23,360	23,360
სხვა სრული შემოსავალი	–	97,227	–	97,227
მთლიანი სრული შემოსავალი	–	97,227	23,360	120,587
2022 წლის 31 დეკემბერი	1,669,604	101,912	(1,519,221)	252,295
წლის მოგება	–	–	52,512	52,512
მთლიანი სრული შემოსავალი	–	–	52,512	52,512
2023 წლის 31 დეკემბერი	1,669,604	101,912	(1,466,709)	304,807

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2023	2022
საოპერაციო საქმიანობა			
მოგება დაბეგვრამდე		52,512	23,360
<i>არაფულადი კორექტირებები მოგების გადასახადით დაბეგვრამდე</i>			
<i>მოგების წმინდა ფულად ნაკადებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით</i>			
ძირითადი საშუალებების ცვეთა	9	12,859	9,790
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	10	123	104
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	9	–	4,306
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	9	–	24
შემოსულობა საიჯარო ხელშეკრულების ვადაზე ადრე			
შეწყვეტისგან	15	(663)	–
მოძველებული მარაგების (აღდგენა)/ჩამოწერა, წმინდა	8	(2,904)	2,610
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	12	615	401
ფინანსური შემოსავალი		(516)	(169)
ფინანსური დანახარჯები		333	872
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი, საფინანსო			
და საინვესტიციო საქმიანობების გამოკლებით		(333)	3,298
საბრუნავი კაპიტალის კორექტირება			
ცვლილება გადახდილ ავანსებსა და სხვა აქტივებში		930	36
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(12,434)	(16,918)
ცვლილება მარაგებში		(520)	(212)
ცვლილება წმინდა საგადასახადო აქტივებში,		1,257	279
ცვლილება სავაჭრო ვალდებულებებში		1,484	132
ცვლილება სახელშეკრულებო ვალდებულებებში		–	(690)
ცვლილება სხვა ვალდებულებებში		(854)	(5,516)
		51,890	21,707
საიჯარო ვალდებულებებზე გადახდილი პროცენტი	15	(136)	(494)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		51,754	21,213
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(1,513)	(1,072)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		–	(454)
გადახდა „კოლხეთის განვითარების ფონდში“		(1,425)	(1,425)
მოთხოვნები საფინანსო დაწესებულებების მიმართ		42,218	(17,867)
მიღებული პროცენტი	13	516	169
საინვესტიციო საქმიანობებიდან მიღებული/(საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		39,796	(20,649)
საფინანსო საქმიანობა			
საიჯარო ვალდებულებების ძირითადი თანხისაწილის გადახდა	15	(1,278)	(4,012)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(1,278)	(4,012)
წლის ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		90,272	(3,448)
საკურსო სხვაობა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		4,016	(1,435)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს	13	12,314	17,197
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	13	106,602	12,314

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

1. კორპორაციული ინფორმაცია

შპს „შავი ზღვის ტერმინალი“ (შემდგომში „კომპანია“) არის იურიდიული პირი, რომელიც დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ხობის რაიონი, 5800, სოფელი ყულევი. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადატვირთვა, შენახვა და ჩატვირთვა გემებში თავისი ძირითადი საოპერაციო აქტივის - საქართველოში, შავი ზღვის სანაპიროზე მდინარე ხობისწყლის შესართავთან მდებარე „შავი ზღვის ტერმინალის“ (შემდგომში „ტერმინალი“) მეშვეობით.

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საბოლოო მშობელი საწარმოა აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანია („სოკარი“). კომპანიის საბოლოო მკონტროლებელი მხარეა აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობა.

2023 წლის მაისში „სოკარი“ გახდა კომპანიის უშუალო და საბოლოო მშობელი საწარმო. 2023 წლის მაისის თვემდე კომპანიის უშუალო მშობელი საწარმო იყო „Relex Holdings Limited“, რომელიც კვიპროსის კანონმდებლობის ქვეშ რეგისტრირებული და მოქმედი კომპანიაა.

2. მომზადების საფუძველი

კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა იმ ძირითადი საშუალებებისა, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

უკრაინაში მიმდინარე ომის ეფექტი

უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ რუსული რუბლი უცხოურ ვალუტებთან მიმართებით მნიშვნელოვნად მერყეობდა, ასევე გაუფასურდა რუსული ფასიანი ქაღალდების ბაზრების და სხვა ბაზრებზე რეგისტრირებული რუსული კომპანიების ღირებულება. სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, თუმცა უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი უკრაინაში, რუსეთსა და დანარჩენ მსოფლიოში. უკრაინა და რუსეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან. მოსალოდნელია, რომ ომს მნიშვნელოვანი გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკაზე. 2022 წელს ქართული ლარი გამყარდა უცხოურ ვალუტებთან მიმართებით, საქართველოში გადმოსახლებული რუსეთის და უკრაინის მოქალაქეების მიერ უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ფულადი გზავნილების ფონზე. ვინაიდან ომი ჯერაც მიმდინარეობს, შეუძლებელია იმის სარწმუნოდ შეფასება, თუ როგორ აისახება საბოლოოდ ეს კომპანიის საქმიანობაზე, ასევე გაურკვეველია, რა მასშტაბის გავლენას მოახდენს ის ზოგადად ეკონომიკაზე. კომპანიის ხელმძღვანელობა თვალს ადევნებს ეკონომიკურ ვითარებას შექმნილ გარემოში.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

(ა) უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლარი“), რომელიც ასევე კომპანიის სამუშაო ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები თავდაპირველად სამუშაო ვალუტაში აღირიცხება, და კონვერტირდება გარიგების თარიღისთვის დადგენილი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები ქართულ ლარში კონვერტირდება საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გამოცხადებული და საანგარიშგებო თარიღში მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციების კონვერტაციით მიღებული შემოსულობა და ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალში, როგორც საკურსო სხვაობით განპირობებული (ზარალი)/შემოსულობა, წმინდა.

სხვაობა უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის სახელშეკრულებო გაცვლით კურსსა და სებ-ის გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს შესულია მოგება-ზარალში, საკურსო სხვაობით განპირობებული (ზარალი)/შემოსულობა, წმინდა. სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბერს იყო 2,6894 და 2,7020 ლარი აშშ დოლართან მიმართებით და 2,9753 და 2,8844 ლარი - ევროსთან მიმართებით, შესაბამისად.

(ბ) ახალი ან შეცვლილი სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

კომპანიის საქმიანობის შესაბამის ქვემოთ მოცემულ სტანდარტებს/ინტერპრეტაციებს, რომლებიც ძალაში 2023 წელს შევიდა, გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და ოპერაციების შედეგებზე:

- ▶ ფასს (IFRS) 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“
- ▶ „სააღრიცხვო შეფასების განმარტება“ - ბასს (IAS) 8-ის ცვლილება
- ▶ „ერთი გარიგებიდან წარმოდგარ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი“ - ბასს (IAS) 12-ის შესწორება
- ▶ „საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა – პილარ 2-ის სანიმუშო წესები“ - ბასს (IAS) 12-ის ცვლილება.
- ▶ „სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნა“ - ბასს (IAS) 1-ის ცვლილება და განცხადება 2 ფასს-ების გამოყენების პრაქტიკის შესახებ

„ბასს (IAS) 1-ის შესწორება და განცხადება 2 ფასს-ების გამოყენების პრაქტიკის შესახებ - არსებითი განსჯის გაკეთება“ სახელმძღვანელო მითითებებს და მაგალითებს იძლევა საწარმოების მიერ სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნების შესახებ არსებითი განსჯის გამოყენებაში დასახმარებლად. ცვლილების მიზანია, საწარმოებს დაეხმაროს სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ უფრო სასარგებლო განმარტებით შენიშვნების წარმოდგენაში, რისთვისაც, საწარმოებისადმი მოთხოვნა, რომ განაცხადონ „მნიშვნელოვანი“ სააღრიცხვო პოლიტიკა, ჩანაცვლდა მოთხოვნით, რომ განაცხადონ თავიანთი „არსებითი“ სააღრიცხვო პოლიტიკა და დაემატა ინსტრუქცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გამოიყენონ საწარმოებმა არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის წარმოდგენასთან დაკავშირებით.

კომპანიამ შეცვალა სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული თავისი განმარტებითი შენიშვნები, როგორც ეს ნაჩვენებია წინამდებარე შენიშვნაში. გადასინჯული არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია მიმართულია იმაზე, თუ როგორ გამოიყენა კომპანიამ ფასს სტანდარტების მოთხოვნები საკუთარ გარემოებებთან მიმართებაში და ის მეტწილად მოიცავს ისეთ საკითხებს, სადაც კომპანია ირჩევს სააღრიცხვო პოლიტიკას ფასს სტანდარტებით დაშვებული ერთი ან მეტი ვარიანტიდან, საკითხებს, რომლებიც მნიშვნელოვან განსჯას ან შეფასებებს ექვემდებარება და გამორიცხავს ისეთ ინფორმაციას, რომელიც მხოლოდ ფასს სტანდარტების მოთხოვნებს აორმაგებს ან აჯამებს, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის არამატერიალური საკითხების შესახებ.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(გ) ახალი და გადასინჯული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

ქვემოთ განსაზღვრულია ახალი და გადასინჯული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ძალაში არ არის შესული კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის. კომპანია ამ ახალი და გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას გეგმავს მათი ძალაში შესვლისთანავე:

- ▶ ფასს (IFRS) 16-ის შესწორება: საიჯარო ვალდებულება გაყიდვებსა და უკუიჯარაში
 - ▶ ბასს (IAS) 1-ის შესწორება: ვალდებულებების მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიცირება
- 2020 წლის იანვარსა და 2022 წლის ოქტომბერში, ბასს-მ გამოსცა ბასს (IAS) 1-ის 69-76 პუნქტების შესწორება, რომლებშიც განსაზღვრულია ვალდებულებების მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის მოთხოვნები. შესწორებებით განისაზღვრება:
- ▶ რას ნიშნავს ანგარიშსწორების გადავადების უფლება
 - ▶ რომ გადავადების უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღში
 - ▶ რომ კლასიფიკაციაზე არ მოქმედებს იმის ალბათობა, რომ საწარმო ისარგებლებს გადავადების უფლებით
 - ▶ რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონვერტირებად ვალდებულებაში განივთებული წარმოებული ინსტრუმენტი თავად არის წილობრივი ინსტრუმენტი, ვალდებულების პირობები არ იმოქმედებს კლასიფიკაციაზე

ამასთან, განისაზღვრა გამჟღავნების მოთხოვნა, როდესაც სესხის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულება კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი და საწარმოს მიერ ანგარიშსწორების გადავადების უფლება დამოკიდებულია მომავალი ვალდებულებების შესრულებაზე თორმეტი თვის განმავლობაში.

ეს შესწორებები ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს და ამ თარიღის შემდეგ დაწყებული ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის და ის რეტროსპექტულად გამოიყენება. ამ მომენტისთვის კომპანია აფასებს იმ გავლენას, რომელიც ექნება შესწორებას მიმდინარე პრაქტიკაზე

- ▶ მომწოდებლის ფინანსური გარიგებები - ბასს (IAS) 7-ის და ფასს (IFRS) 7-ის შესწორებები.

2023 წლის მაისში ბასს-მა გამოსცა ბასს (IAS) 7-ის („ფულადი ნაკადების ანგარიშგება“) და ფასს (IFRS) 7-ის („ფინანსური ინსტრუმენტები“) შესწორებები: მომწოდებლის ფინანსური გარიგებების მახასიათებლების განმარტებითი შენიშვნები და ამგვარი გარიგებების დამატებითი განმარტებების მოთხოვნა. შესწორებებში განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნის მიზანია ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლებს დაეხმაროს საწარმოს ვალდებულებებზე, ფულად ნაკადებზე ან ლიკვიდობის რისკის ზომაზე მომწოდებლის ფინანსური შეთანხმებების ეფექტების გააზრებაში.

ცვლილებები ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს დაწყებული ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ვადაზე ადრე მიღება ნებადართულია, თუმცა საჭირო იქნება ამ ინფორმაციის გამჟღავნება.

კომპანია კონკრეტული მომწოდებლის ფინანსური გარიგებების მხარეა. დღეის მდგომარეობით კომპანია აფასებს თავისი ფინანსური ანგარიშგების ცვლილების გავლენას.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(დ) ამონაგების აღიარება

მომხმარებელბთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს იმ ოდენობით, რაც შეესაბამება ანაზღაურებას, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ.

კომპანია ამონაგებთან დაკავშირებულ თავის შეთანხმებებს სპეციალურ კრიტერიუმებს ადარებს, რათა განსაზღვროს ამ შეთანხმებებში იგი მარწმუნებლად თუ აგენტ მხარედ გამოდის. კომპანიამ დაასკვნა, რომ არის მარწმუნებელი ამონაგების მომტან გარიგებებში (რადგან ის, ჩვეულებრივ, აკონტროლებს საქონელს და მომსახურებას მათი მომხმარებლისთვის გადაცემამდე).

ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანია ზოგადად აღიარებს შემდეგი ტიპის ამონაგებს:

საქონლის გადატვირთვა - ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება დროის იმ მომენტში, როდესაც საქონელზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს, ზოგადად, როდესაც საქონელი გადაეცემა მომხმარებელს. ამონაგები აღიარდება ისეთი ოდენობით, რომელიც ასახავს იმ საზღაურს, რომლის მიღებასაც კომპანია გეგმავს ამგვარი საქონლის სანაცვლოდ.

სანავსადგურო მომსახურებები - სანავსადგურო მომსახურებიდან ამონაგები მიიღება ნავსადგურში შემოსული გემებისთვის სხვადასხვა მომსახურების გაწევის შედეგად და აღიარდება მომსახურების გაწევისას და როდესაც სავარაუდოა საზღაურის მიღება.

საპროცენტო შემოსავალი

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ყველა ფინანსური ინსტრუმენტისთვის საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც მომავალში მოსალოდნელი გადახდილი ან მისაღები ფულადი სახსრების ზუსტ დისკონტირებას ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების ვადაზე ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ან ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. საპროცენტო შემოსავალი შესულია მოგება ან ზარალში ფინანსური შემოსავლის მუხლში.

სახელშეკრულებო ნაშთი

სახელშეკრულებო აქტივები

სახელშეკრულებო აქტივი წარმოადგენს უფლებას მომხმარებლისთვის გადაცემული საქონლის ან მომსახურებების სანაცვლოდ მისაღებ საფასურზე. თუ კომპანია მომხმარებელს საქონელს ან მომსახურებას გადასცემს მომხმარებლის მიერ ანაზღაურების გადახდამდე ან გადახდის თარიღის დადგომამდე, სახელშეკრულებო აქტივის აღიარება ხდება პირობითად მიღებული ანაზღაურებისთვის. კომპანია არ ფლობს სახელშეკრულებო აქტივებს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მოთხოვნები წარმოადგენს კომპანიის უფლებას მიიღოს უპირობო საზღაური (ე.ი. მხოლოდ დროის გასვლა საჭირო საზღაურის გადახდის თარიღის დადგომამდე).

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(დ) ამონაგების აღიარება (გაგრძელება)

სახელშეკრულებო ნაშთი (გაგრძელება)

სახელშეკრულებო ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულება წარმოადგენს იმ საქონლის და მომსახურების მომხმარებელზე გადაცემის ვალდებულებას, რომლისთვისაც კომპანიას მომხმარებლისგან საზღაური აქვს მიღებული (ან საზღაურის თანხის გადახდის ვალდებულება დგება). თუ მომხმარებელი საზღაურს გადაიხდის მანამდე, სანამ კომპანია მას საქონელს და მომსახურებას მიაწვდის, სახელშეკრულებო ვალდებულება აღიარდება მაშინ, როდესაც განხორციელდება გადახდა, ან დადება მისი გადახდის ვალდებულება (რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი). სახელშეკრულებო ვალდებულებები აღიარდება, როგორც ამონაგები, კომპანიის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას.

(ე) გადასახადები

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც მოხდება დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო ვალდებულებებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოუშვებთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებზე დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია საკუთარი კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, მოგებაში ან ზარალში, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალში გაყიდული საქონლის თვითღირებულების ფარგლებში.

(ვ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გადაფასების თარიღის შემდეგ აღიარებული გაუფასურების ზარალი. შეფასება ხდება საკმარისი სიხშირით, რომ გადაფასებული აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი საბალანსო ღირებულებისგან.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ვ) ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

გადაფასებით წარმოშობილი ნამეტი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და აღირიცხება საკუთარ კაპიტალში აქტივის გადაფასების ნამატის სახით. თუმცა თუ იგი აღადგენს ამავე აქტივის გადაფასების შედეგად შემცირებულ ღირებულებას, რაც მანამდე მოგება-ზარალში იყო აღიარებული, ღირებულების გაზრდის აღიარება ხდება მოგება-ზარალში. გადაფასების დეფიციტის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი გადაფარავს იმავე აქტივზე არსებულ ნამეტს, რომელიც აღიარებულია აქტივის გადაფასების რეზერვში. საკუთარ კაპიტალში აღრიცხული გადაფასების ნამატი გადადის გაუნაწილებელ მოგებაში აქტივის გასვლისთანავე.

აქტივის ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც ის გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი გახდება. ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადაზე შემდეგნაირად:

შენიშვნები და სხვა ნაგებობები	20-25 წელი
ხომალდები და ავტოსატრანსპორტო საშუალებები	3-24 წელი
სხვა გრძელვადიანი აქტივები	5 წლამდე

მიწას, დაუმთავრებელ მშენებლობას და მონტაჟის პროცესში მყოფ გრძელვადიან აქტივებს ცვეთა არ ერიცხებათ.

შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული დანახარჯები ირიცხება წარმოშობისას და ისინი შედის გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

(ზ) სამართლიანი ღირებულების შეფასება

კომპანია ისეთ არაფინანსურ აქტივებს, როგორიც არის ძირითადი საშუალებები, სამართლიანი ღირებულებით აფასებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული იქნებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადახდილი იქნებოდა ვალდებულების გადაცემისას, შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ფასდება იმ დაშვების საფუძველზე, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებდნენ აქტივის ან ვალდებულების ფასების განსაზღვრისას, იმ ვარაუდით, რომ ბაზრის მონაწილეები იმოქმედებენ საუკეთესო ეკონომიკური ინტერესის ფარგლებში. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება ითვალისწინებს ბაზრის მონაწილის უნარს გამოიმუშაოს ეკონომიკური სარგებელი აქტივის საუკეთესო დანიშნულებისამებრ გამოყენებით ან მისი მიყიდვით ბაზრის სხვა მონაწილეზე, რომელიც აქტივს საუკეთესო ფორმით გამოიყენებს.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, და რომლებშიც მაქსიმალურად გამოიყენება ემპირიული და მინიმალურად - არაემპირიული ამოსავალი მონაცემები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ სამართლიანი ღირებულებისთვის მთლიანობაში:

- ▶ 1-ლი დონე – იდენტური აქტივების ან ვალდებულებების კოტირებული (დაუკორექტირებელი) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზარზე;
- ▶ მე-2 დონე - შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- ▶ მე-3 დონე - შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ზ) სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების იერარქიის ერთი დონიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კომპანია განსაზღვრავს კატეგორიზაციის ხელახლა შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

(თ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ან როდესაც აქტივის წლიური ტესტირება საჭირო მისი გაუფასურების დასადგენად, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივების გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოდინება, რაც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მის ანაზღაურებად ღირებულებას აჭარბებს, აქტივი გაუფასურებულად მიიჩნევა და ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების განსაზღვრისას, შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გასვლის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. ამგვარი გარიგებების გამოვლენის შეუძლებლობის შემთხვევაში, გამოიყენება შესაბამისი შეფასების მოდელი.

კომპანია გაუფასურების დაანგარიშებისას ეყრდნობა დეტალურ საბიუჯეტო და საპროგნოზო დაანგარიშებებს. ეს საბიუჯეტო და საპროგნოზო დაანგარიშებები ჩვეულებრივ ხუთწლიან პერიოდს მოიცავს. უფრო ხანგრძლივი პერიოდებისთვის, გამოითვლება გრძელვადიანი ზრდის ტემპი, რომელიც გამოიყენება ხუთი წლის შემდგომი ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის.

განგრძობითი ოპერაციების გაუფასურების ზარალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგების ხარჯების კატეგორიებში გაუფასურებული აქტივის ფუნქციის შესაბამისად, გარდა იმ ქონებებისა, რომლებიც მანამდე გადაფასდა და გადაფასება აისახა სხვა სრულ შემოსავალში. ასეთ შემთხვევაში გაუფასურების აღიარება სხვა სრულ შემოსავალში მოხდება ნებისმიერი მანამდე მომხდარი გადაფასების თანხამდე.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის განისაზღვრება არსებობს თუ არა იმის ნიშნები, რომ ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღარ არსებობდეს ან შემცირებულია. ასეთი ნიშნის არსებობის შემთხვევაში, კომპანია აფასებს აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას. ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის გაუქმება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ გაუფასურების ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განმსაზღვრელ დაშვებებში გარკვეული ცვლილებებია მომხდარი. გაუქმების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს მის ანაზღაურებად ღირებულებას და ასევე არ უნდა გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთის გამოკლებით, წინა წლებში აქტივის გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. ასეთი გაუქმების აღიარება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხდება, თუ აქტივი არ არის აღრიცხული გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც გაუქმება აღირიცხება როგორც აფასება.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ი) მოთხოვნები საფინანსო დაწესებულებების მიმართ

მოთხოვნები საფინანსო დაწესებულებების მიმართ შედგება პროცენტის ანაზღაურებისგან სამ თვეზე მეტი სახელშეკრულებო ვადით.

(კ) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე იურიდიული თუ კონსტრუქციული ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ განსაზღვრა. ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები წარმოდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნებისმიერი ანაზღაურების გამოკლებით.

(ლ) გარიგებები საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებთან

საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებთან ყველა გარიგება თვითღირებულებით ფასდება, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ფასის სტანდარტებში, მაგალითად ფასის (IFRS) 2 „აქტივზე დაფუძნებული გადახდა“ ან ფასის (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“. აღიარება და შეფასება. იმ შემთხვევაში, თუ გარიგებები არ შეიცავს საზღაურს, მაშინ მათი ღირებულება ნულით ფასდება.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა, შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი ამონაგების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე, თანდართულ განმარტებით შენიშვნებსა და პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

შეფასებები და დაშვებები

(i) ძირითადი საშუალებების გადაფასება

თავისი ძირითადი საშუალებების აღრიცხვისთვის კომპანია იყენებს გადაფასების მოდელს. ბასის (IAS) 16-ის „ძირითადი საშუალებები“ მიხედვით, კომპანია ვალდებულია ისეთი სიხშირით გადააფასოს ძირითადი საშუალებები, რომ საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისგან, რომელიც განისაზღვრება სამართლიანი ღირებულების გამოყენებით საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღში. ძირითადი საშუალებების სამართლიან ღირებულებაში გამოყენებული მნიშვნელოვანი დაშვებები და შეფასებები განხილულია მე-9 შენიშვნაში.

(ii) სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი

კომპანია აღიარებს რეზერვებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე და იყენებს გამარტივებული მიდგომას. ხელმძღვანელობამ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დაიანგარიშა ამ ფინანსური ინსტრუმენტების ვადის გათვალისწინებით. კომპანიამ გამოიყენა ანარიცხის მოდელი, რომელიც მზადდება კომპანიის საპროგნოზო ინფორმაციით კორექტირებული საკრედიტო ზარალის განვლილი გამოცდილების გათვალისწინებით.

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ შეაფასა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებთან მიმართებით და საფინანსო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნები არაარსებითად ჩაითვალა. ინფორმაცია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესახებ კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებით, მოცემულია მე-12 შენიშვნაში.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

5. ამონაგები

	2023	2022
ამონაგები გადატვირთვის მომსახურებიდან	96,017	65,557
ამონაგები სანავსადგურო მომსახურებიდან	8,512	9,057
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	104,529	74,614
სხვა ამონაგები	380	184
სულ ამონაგები	104,909	74,798

კომპანიამ აღიარა ამონაგებთან დაკავშირებული შემდეგი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:

	2023	2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	30,726	18,907

სავაჭრო მოთხოვნების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საზღაურის მიღების უფლება უპირობო ხდება. სავაჭრო მოთხოვნები გადატვირთვის მომსახურებიდან განსაზღვრულია აშშ დოლარში. სანავსადგურო მომსახურებიდან სავაჭრო მოთხოვნები ლარშია გამოხატული. სავაჭრო მოთხოვნები უპროცენტია.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2022 წელთან შედარებით, გამოწვეულია 2023 წლის მეოთხე კვარტალში ახალი მომხმარებლებისთვის გაწეული გადაზიდვის მომსახურებების მოთხოვნებით, რომელთა გადახდის ვადა მომსახურების გაწევის შემდეგ 30 დღეა, ასევე 2023 წლის თებერვალში ხელმოწერილი სამხრეთი შეთანხმებით, რომელიც ითვალისწინებს 16,709 ლარის მოთხოვნების ვადის გახანგრძლივებას (ასევე იხილეთ მე-12 შენიშვნა).

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონდა თავის მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულებები.

6. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

	2023	2022
სანავსადგურო ტერიტორიის ტექნომსახურება	14,925	5,733
ცვეთა და ამორტიზაცია (22-ე შენიშვნა)	12,983	9,894
სარკინიგზო ტრანსპორტირების ხარჯები	7,501	7,684
ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები	5,815	2,393
ტექნომსახურების და კომუნალური ხარჯები	1,912	3,291
გატობის და საწვავის ხარჯები	1,872	2,396
სადაზღვევო ხარჯი	1,736	1,608
საგადასახადო ხარჯი *	1,198	1,530
საბუქსირო გემის იჯარის ხარჯი (მე-15 შენიშვნა)	935	94
სხვა	490	512
სულ გაყიდული საქონლის თვითღირებულება	49,367	35,135

* საგადასახადო ხარჯში შესულია 780 ლარის აღდგენა, რომელიც უკავშირდება საშემოსავლო გადასახადის აღდგენას ხელფასებსა და დასაქმებულთა გასამრჯელოებზე და 2020-2022 წლებთან დაკავშირებულ დამატებული ღირებულების გადასახადს. კომპანიამ 2023 წლის დეკემბერში საქართველოს შემოსავლების სამსახურისგან მიიღო წინასწარი საგადასახადო დადგენილება, რომელიც საშუალებას აძლევდა მას შეემცირებინა ზემოხსენებული თანხა.

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები	3,575	3,409
საკომუნიკაციო ხარჯი	634	258
პროფესიული მომსახურება	567	381
დაცვის მომსახურების საფასური	561	482
სხვა	100	565
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	5,437	5,095

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

8. სხვა საოპერაციო შემოსავალი და სხვა საოპერაციო ხარჯები

	2023	2022
სხვა საოპერაციო შემოსავალი		
მოძველებული მარაგების აღდგენა (მე-11 შენიშვნა)	2,904	–
ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა შეზღუდვის პერიოდის გასვლის გამო	1,480	–
შემსრულებელთან მიმდინარე სამართალწარმოებაზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით გამოწვეული ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა (მე-18 შენიშვნა)	–	4,659
სხვა	59	53
	4,443	4,712
სხვა საოპერაციო ხარჯები		
გამოყენებული მასალები	1,194	754
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი (მე-12 შენიშვნა)	615	401
უსაფრთხოების მომსახურებები	210	382
სარეკლამო ხარჯი	207	136
დასუფთავების ხარჯები	38	702
საბანკო მომსახურების საფასური	24	141
მოძველებული მარაგების ჩამოწერა (მე-11 შენიშვნა)	–	2,610
სხვა	1,381	1,092
	3,669	6,218

9. ძირითადი საშუალებები

	მიწა	ბოძალდები და შენობები და სხვა ნაგებობები	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	სხვა გრძელ- ვადიანი აქტივები	დაუმთავრებელი მშენებლობა	აქტივების გამოყენების უფლება	სულ
მთლიანი სააღრიცხვო ღირებულება							
2021 წლის 31 დეკემბერი	2,773	121,913	2,777	4,685	6,874	18,359	157,381
შესყიდვები	–	–	154	463	206	–	823
გადატანები მარაგებიდან	–	–	–	13	236	–	249
შიდა გადატანები	–	3,639	–	(981)	(2,658)	–	–
ჩამოწერა	–	(19)	–	(8)	–	–	(27)
აფასება, წმინდა	942	64,116	9,755	4,809	13,299	–	92,921
2022 წლის 31 დეკემბერი	3,715	189,649	12,686	8,981	17,957	18,359	251,347
შესყიდვები	–	–	4,174	349	–	–	4,523
შიდა გადატანები	–	322	533	(445)	(410)	–	–
იჯარის შეწყვეტა	–	–	–	–	–	(18,359)	(18,359)
2023 წლის 31 დეკემბერი	3,715	189,971	17,393	8,885	17,547	–	237,511
დაგროვილი ცვეთა							
2021 წლის 31 დეკემბერი	–	(44,702)	(2,680)	(3,208)	–	(11,385)	(61,975)
ცვეთის ხარჯი წლის განმავლობაში	–	(5,942)	(10)	(112)	–	(3,726)	(9,790)
შიდა გადატანები	–	(556)	–	556	–	–	–
დაგროვილი ცვეთის ჩამოწერა გასვლისას	–	3	–	–	–	–	3
2022 წლის 31 დეკემბერი	–	(51,197)	(2,690)	(2,764)	–	(15,111)	(71,762)
ცვეთის ხარჯი წლის განმავლობაში	–	(9,407)	(681)	(606)	–	(2,166)	(12,859)
შიდა გადატანები	–	33	(356)	323	–	–	–
დაგროვილი ცვეთის ჩამოწერა იჯარის შეწყვეტისას	–	–	–	–	–	17,277	17,277
2023 წლის 31 დეკემბერი	–	(60,570)	(3,727)	(3,047)	–	–	(67,344)
წმინდა სააღრიცხვო ღირებულება							
2022 წლის 31 დეკემბერი	3,715	138,453	9,996	6,217	17,957	3,248	179,586
2023 წლის 31 დეკემბერი	3,715	129,401	13,666	5,838	17,547	–	170,167

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

9. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია სახელშეკრულებო საინვესტიციო ვალდებულებები.

ძირითადი საშუალებების გადაფასება

კომპანიის ძირითადი საშუალებების ბოლო გადაფასება 2022 წლის 31 დეკემბერს განახორციელა დამოუკიდებელმა შემფასებელმა „ბიდიო საქართველომ“. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა შეფასების მეთოდებით, საუკეთესო გამოყენების პრინციპის საფუძველზე.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა საბაზრო და დანახარჯების მიდგომების კომბინაციის გამოყენებით. კომპანიამ აღიარა წმინდა შემოსულობა 92,921 ლარის ოდენობით ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან, რომელიც შედგებოდა გადაფასების წმინდა ზარალისგან 4,306 ლარის ოდენობით, რომელიც ძირითადი საშუალებების გაუფასურების ხარჯშია შესული მოგება-ზარალში და მეტწილად უკავშირდებოდა მშენებლობებს და გადაფასების წმინდა შემოსულობისგან 97,227 ლარის ოდენობით, რომელიც გადაფასების რეზერვშია აღიარებული და მეტწილად უკავშირდება შენობა-ნაგებობებს, ხომალდებს და ნაპირის დაცვის ობიექტებს.

თუ ძირითადი საშუალებები თვითღირებულების მოდელი გამოყენებით შეფასდებოდა, მათი საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 96,226 ლარი (2022 წ.: 100,767 ლარი) იქნებოდა.

ცვლილების დინამიკა აქტივების გამოყენების უფლებაში

	სანავსადგურო სახმელეთო აღჭურვილობა	შენობები და სხვა ნაგებობები	სულ
2022 წლის 1 იანვარი	6,950	24	6,974
ცვეთის დარიცხვა	(3,702)	(24)	(3,726)
2022 წლის 31 დეკემბერი	3,248	-	3,248
ცვეთის დარიცხვა	(2,166)	-	(2,166)
საიჯარო ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა (მე-15 შენიშვნა)	(1,082)	-	(1,082)
2023 წლის 31 დეკემბერი	-	-	-

10. არამატერიალური აქტივები

	ლიცენზიები	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
თვითღირებულება			
2021 წლის 31 დეკემბერი	4,873	21	4,894
შესყიდვები	-	454	454
2022 წლის 31 დეკემბერი	4,873	475	5,348
შესყიდვები	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	4,873	475	5,348
დაგროვილი ამორტიზაცია			
2021 წლის 31 დეკემბერი	(1,596)	(5)	(1,601)
ამორტიზაციის ხარჯი წლის განმავლობაში	(89)	(15)	(104)
2022 წლის 31 დეკემბერი	(1,685)	(20)	(1,705)
ამორტიზაციის ხარჯი წლის განმავლობაში	(89)	(34)	(123)
2023 წლის 31 დეკემბერი	(1,774)	(54)	(1,828)
წმინდა სააღრიცხვო ღირებულება			
2022 წლის 31 დეკემბერი	3,188	455	3,643
2023 წლის 31 დეკემბერი	3,099	421	3,520

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

10. არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

სამშენებლო სამუშაოების განხორციელების და ნავთობტერმინალის ფუნქციონირების ლიცენზიის მიღების პირობების ფარგლებში კომპანია ვალდებული იყო ჩაეტარებინა გარემოს შენარჩუნებისა და რეაბილიტაციის სამუშაოები შავი ზღვის სანაპიროს გაყოლებაზე თავისი ტერმინალის მიმდებარედ. ამ ვალდებულების ფარგლებში კომპანიამ და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ 2008 წლის 6 მაისს გააფორმეს დამატებითი ხელშეკრულება. დამატებითი ხელშეკრულების ფარგლებში კომპანიას დაეკისრა კოლხეთის დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდისთვის 7,000,000 ევროს გადახდა 16-წლიანი ვადის განმავლობაში, აღნიშნული ფონდის გარემოს დაცვითი საქმიანობის დასაფინანსებლად. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ეს ხარჯები მიეკუთვნება შავი ზღვის ტერმინალის აშენებისა და ფუნქციონირებისთვის ლიცენზიის მიღების ხარჯებს და შესაბამისად, სამომავლო გადახდების დისკონტირებული ღირებულება აღიარა არამატერიალურ აქტივად.

ლიცენზიის ხარჯი ამორტიზდება სასარგებლო მომსახურების 50 წლიან ვადაზე, რაც წარმოადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ ტერმინალის მშენებლობისთვის გაცემული ნებართვის ვადას.

11. მარაგები

	2023	2022
ტექნოლოგიების მასალები	3,019	455
საწვავი და საპოხი მასალები	1,588	1,342
კაბელები და სხვა ელექტრო მასალები	586	212
აქტივირებული ნახშირბადი	78	78
სხვა	555	315
სულ მარაგები	5,826	2,402

2023 წელს კომპანიამ აღადგინა ადრე ჩამოწერილი მოძველებული მასალები მთლიანი წმინდა ღირებულებით 2,904 ლარი (2022 წ.: 2,610 ლარის ოდენობით მოძველებული მარაგების ჩამოწერა).

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2023	2022
მოთხოვნა გადატვირთვის მომსახურებებზე	30,161	17,798
მოთხოვნები სანავსადგურო საფასურზე	1,606	1,283
სხვა მოთხოვნები	481	733
	32,248	19,814
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(1,522)	(907)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, წმინდა	30,726	18,907
გრძელვადიანი	5,278	–
მოკლევადიანი	25,448	18,907

2023 წლის თებერვალში კომპანიამ ხელი მოაწერა სამმხრივ შეთანხმებას 16,709 ლარის მოთხოვნების ერთ-ერთ დაკავშირებულ მხარეზე გადაცემაზე. ხელშეკრულება ასევე მოიცავდა ახალი დაფარვის გრაფიკს, რომლის მიხედვითაც ბოლო გადახდის მიღება 2026 წლის დეკემბერშია განსაზღვრული. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ განახორციელა 5,278 ლარის რეკლასიფიკაცია გრძელვადიან სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში, ასევე აღიარა დამატებითი რეზერვი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე, რომელმაც, შესაბამისად, 615 ლარი შეადგინა. კომპანიას არ შეუცვლია თავისი გადახდის პირობები მომხმარებლებთან. ეს პირობები ჩვეულებრივ მომსახურების გაწევიდან 30 დღეს შეადგენს, გარდა ზემოთ მითითებული შემთხვევისა.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში შესული ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის მიხედვით ანალიზი ასეთია:

2023 წლის 31 დეკემბერი	<30 დღე	30–60 დღე	61–90 დღე	>90 დღე	სულ
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი	2.8%	–	–	100.0%	
დეფოლტის რისკის ქვეშ არსებული მოსალოდნელი მთლიანი საბალანსო ღირებულება	31,690	–	–	624	32,248
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	898	–	–	624	1,522

2022 წლის 31 დეკემბერი	<30 დღე	30–60 დღე	61–90 დღე	>90 დღე	სულ
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი	0.6%	3.9%	–	100.0%	
დეფოლტის რისკის ქვეშ არსებული მოსალოდნელი მთლიანი საბალანსო ღირებულება	17,783	1,283	–	748	19,814
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	109	50	–	748	907

მომდროება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვში ასეთი იყო:

	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი
2021 წლის 31 დეკემბერი	506
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი (მე-8 შენიშვნა)	401
2022 წლის 31 დეკემბერი	907
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი (მე-8 შენიშვნა)	615
2023 წლის 31 დეკემბერი	1,522

13. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, მოთხოვნები საფინანსო დაწესებულებების მიმართ

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგებოდა ბანკში ნაღდი ფულის ანგარიშებისგან.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოთხოვნები საფინანსო დაწესებულებების მიმართ წარმოდგენილია ერთ წლამდე ვადის მქონე მოკლევადიანი ანაზრებით.

ანაზრებსა და მიმდინარე ანგარიშებზე 2023 წელს დარიცხულმა პროცენტმა 516 ლარი (2022 წ.: 169 ლარი) შეადგინა.

14. საკუთარი კაპიტალი**(ა) საწესდებო კაპიტალი**

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-ს ფლობდა „სოკარი“. 2023 წლის მაისის თვემდე კომპანიის უშუალო მშობელი საწარმო იყო „Relex Holdings Limited“, რომელიც კვიპროსის კანონმდებლობის ქვეშ რეგისტრირებული და მოქმედი კომპანიაა. 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალი 1,669,604 ლარი იყო. 2023 და 2022 წლებში დივიდენდები არ განაწილებულა და არც გამოცხადებულა.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

14. საკუთარი კაპიტალი (გაგრძელება)

(ბ) ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი

ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი ასახავს ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულების ზრდას და შემცირებას იმდენად, რამდენადაც ღირებულების შემცირება უკავშირდება ღირებულების ზრდას იმავე აქტივზე, რომელიც მანამდე საკუთარ კაპიტალში იყო აღიარებული. 2022 წელს გადაფასების რეზერვი 97,277 ლარით გაიზარდა, რაც 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების გადაფასებით იყო წარმოშობილი (მე-9 შენიშვნა).

15. იჯარები

კომპანია, როგორც მოიჯარე

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰქონდა საიჯარო ხელშეკრულება ფასს (IFRS) 16-ის ფარგლებში საბუქსირო გემებისთვის (სანავსადგურო სახმელეთო აღჭურვილობა) ხუთწლიანი იჯარის ვადით. 2023 წლის აგვისტოში კომპანიამ ვადაზე ადრე შეწყვიტა იჯარის ხელშეკრულება და შეისყიდა ფსკერსაღრმავებელი გემები. კომპანიამ შეძენილ ფსკერსაღრმავებელ გემებზე საკუთრების მიღების თარიღი განსაზღვრა იჯარის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის თარიღად. შესაბამისად, კომპანიამ შეწყვიტა საიჯარო ვალდებულებები 1,745 ლარის ოდენობით (შესაბამისი აქტივების გამოყენების უფლების 1,082 ლარის ოდენობით საბალანსო ღირებულების გამოკლებით) მოგება-ზარალში ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის გამო. და განახორციელა 930 ლარის დაუფარავი სახელშეკრულებო ვალდებულებების სხვა ვალდებულებებად რეკლასიფიკაცია, რომელიც წარმოდგენილი იყო ვადაგადაცილებული გადახდებით იჯარის ხელშეკრულების ფარგლებში (მე-16 შენიშვნა). შედეგად, კომპანიამ 663 ლარი აღიარა, როგორც წმინდა შემოსულობა იჯარის ხელშეკრულების ვადაზე შეწყვეტიდან.

კომპანიამ გამოიყენა განთავისუფლების წესი მოკლევადიანად კლასიფიცირებულ იჯარებზე, კერძოდ, ფსკერსაღრმავებელი გემების იჯარასთან მიმართებით, რომელიც გაფორმდა კონკრეტულ დღეებზე ფსკერსაღრმავებელი ტექნოლოგიების სამუშაოების განსახორციელებლად. ამგვარი ფსკერსაღრმავებელი სამუშაოები ტარდება სხვადასხვა რეგულარული ინტერვალებით გემების მისაღებად ხელმისაწვდომი მარშრუტების უზრუნველსაყოფად ჩვეული საქმიანობის პროცესში და ისინი განსხვავდება კაპიტალური ფსკერსაღრმავებელი სამუშაოებისგან, რომლებიც ორიენტირებულია მაღალი ტონაჟის და განსხვავებული ტიპის გემების მიღებაზე.

ქვემოთ განსაზღვრულია საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება და მოძრაობები პერიოდის განმავლობაში:

	2023	2022
1 იანვარი	3,953	11,722
გადახდილი ძირითადი თანხა	(1,278)	(4,012)
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	136	494
გადახდილი პროცენტი	(136)	(494)
საიჯარო ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა	(1,745)	-
იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტისას სხვა ვალდებულებებში გადაკლასიფიცირება	(930)	-
საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა, წმინდა	-	(3,757)
31 დეკემბერი	-	3,953

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

15. იჯარები (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულია მოგება-ზარალში აღიარებული თანხები:

	2023	2022
აქტივების გამოყენების უფლების (გაყიდული საქონლის თვითღირებულება, ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი) ცვეთის ხარჯი	2,166	3,726
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე (ფინანსური დანახარჯები)	136	494
წმინდა შემოსულობა საიჯარო ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტიდან	(663)	–
საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა, წმინდა	–	(3,757)
მოკლევადიან იჯარებთან, დაბალფასიან აქტივებსა და ცვლად საიჯარო გადახდებთან (გაყიდული საქონლის თვითღირებულება, საბუქსირო გემის იჯარის ხარჯი, მე-6 შენიშვნა) დაკავშირებული ხარჯი	935	94
მოგება-ზარალში აღიარებული მთლიანი თანხა	2,574	557

2023 წელს იჯარებზე მთლიანი ფულადი სახსრების გადინებები, მათ შორის მოკლევადიანი და დაბალფასიანი საიჯარო აქტივები 2,349 ლარს (2022 წ.: 4,600 ლარი) შეადგენდა.

16. სხვა ვალდებულებები

	2023	2022
ძირითად საშუალებებთან დაკავშირებული ვალდებულება	3,205	195
შეწყვეტილი საიჯარო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ვალდებულებები (მე-15 შენიშვნა)	930	–
კოლხეთის განვითარების ფონდის ვალდებულებები (მე-10 შენიშვნა)	712	1,973
სახელფასო ვალდებულება თანამშრომლების მიმართ	–	179
სხვა ვალდებულებები	953	1,628
სულ სხვა ვალდებულებები	5,800	3,975
გრძელვადიანი	2,021	658
მოკლევადიანი	3,779	3,317

17. სავაჭრო ვალდებულებები

	2023	2022
ვალდებულებები ფსკერსაღრმავებელი ხომალდების მოკლევადიან იჯარებზე	1,977	–
საწვავის შესყიდვასთან დაკავშირებული ვალდებულებები	661	747
სხვა ვალდებულებები	326	733
სულ სავაჭრო ვალდებულებები	2,964	1,480

18. პირობითი ვალდებულებები**გადასახადები**

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა შესაძლოა იყოს სხვადასხვა ინტერპრეტაციის და შესწორების საგანი. კომპანიის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია შესაძლოა განსხვავდებოდეს საგადასახადო უწყებების ინტერპრეტაციებისგან, გარიგებები შესაძლოა ეჭვ ქვეშ დააყენონ საგადასახადო უწყებებმა და გამოიწვიოს დამატებითი გადასახადების, ჯარიმების და პროცენტების დარიცხვა. 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ შესაძლო საგადასახადო დანახარჯები შეაფასა 3,347 ლარის ოდენობით, რომლებიც ანარიცხებშია აღიარებული.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

18. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)**ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მეთავალყურობა**

კომპანია თავის რეზერვუარებში ინახავს ნავთობს და ნავთობპროდუქტებს მათ ხომალდებზე გადატვირთვამდე. კომპანია პასუხს აგებს ამ საქონლის უსაფრთხოდ დაცვაზე. კომპანიამ დააზღვია მასთან დაცული ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შესაძლო დანაკარგი 50,000,000 აშშ დოლარის ოდენობით.

19. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები**(ა) ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან**

საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო	2023		2022	
	გაყიდვები დაკავშირებულ მხარეებზე	შესყიდვები დაკავშირებულ მხარეებისგან	ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების (მიმართ) / დაკავშირებული მხარეებისგან	გაყიდვები დაკავშირებულ მხარეებზე
შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ (i)	–	3,468	(661)	–
„სოკარ ტერიდინგი“	–	–	–	–
შპს „Caspian Innovation Center“ (iii)	–	126	–	–
შპს „სოკარ ჯორჯია სექიურითი“ (ii)	–	388	–	–
„სოკარ ინფორმეიშენ ტექნოლოჯი“ (iii)	–	88	(8)	–
„SOCAR Logistics DMCC“, 419 ლარის ოდენობით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის გამოკლებით (iv)	64,651	–	17,925	–
„ევრაზიის ტრანსპორტისა და ტერმინალების კომპანია“, 338 ლარის ოდენობით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის გამოკლებით (iv)	24,232	–	9,252	–

- (i) კომპანია ყოველდღიური საქმიანობისთვის საჭირო საწვავს და სხვა ნავთობპროდუქტებს შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმისგან“ ყიდულობს.
- (ii) კომპანია სატელეკომუნიკაციო მხარდაჭერის მომსახურებას ყიდულობს „სოკარის“ საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების დეპარტამენტისგან. შპს „სოკარ ჯორჯია სექიურითი“ უსაფრთხოების მომსახურებას გასწევს.
- (iii) კომპანია პროგრამული უზრუნველყოფების ტექნოლოგიების სერვისებს შპს „Caspian Innovation Center“-სგან ყიდულობს.
- (iv) კომპანია გადატვირთვის მომსახურებებს გასწევს ორგანიზაციებზე „SOCAR Logistics DMCC“ და „ევრაზიის ტრანსპორტისა და ტერმინალების კომპანიას“.

(ბ) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება

2023 წელს კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა 2 ფიზიკური პირით იყო წარმოდგენილი (2022 წ.: 2 ფიზიკური პირი) და მათი ყოველწლიური კომპენსაცია მოიცავდა დასაქმებულთა მოკლევადიან გასამრჯელოებს 771 ლარის ოდენობით (2022 წ.: 1,084 ლარი). უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა სხვა სახის კომპენსაციას არ იღებს.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

20. ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ მიახლოებითი თანხის დასადგენად, რომელზეც შეიძლება გაცივალოს ფინანსური ინსტრუმენტი გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით შესრულებული ოპერაციის დროს. კომპანია მიიჩნევს, რომ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სახით წარმოდგენილი თანხები გონივრულ ფარგლებში წარმოადგენს სამართლიანი ღირებულების შეფასებას, რაც მათი მოკლევადიანი ხასიათით არის გამოწვეული, გარდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისა, ძირითად საშუალებებზე ვალდებულებებისა და საიჯარო ვალდებულებებისა, რომლებსაც შემდეგი სამართლიანი ღირებულება აქვთ:

	დონე	2023 წლის 31 დეკემბერი		2022 წლის 31 დეკემბერი	
		საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფინანსური აქტივები					
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	მე-3 დონე	30,726	30,619	18,907	18,907
ფინანსური ვალდებულებები					
ძირითად საშუალებებთან დაკავშირებული ვალდებულება (მე-16 შენიშვნა)	მე-3 დონე	3,205	3,191	195	195
საიჯარო ვალდებულებები (მე-15 შენიშვნა)	მე-3 დონე	–	–	3,953	4,064

საიჯარო ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით მოქმედ ბაზარზე საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული განაკვეთების გამოყენებით.

ყველა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეს განეკუთვნება, გარდა ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულების იერარქიის 1-ელ დონეს განეკუთვნება.

21. ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო ვალდებულებებს, საიჯარო და სხვა მოკლევადიან ვალდებულებებს. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია კომპანიის ოპერაციების დაფინანსება. კომპანიის ძირითადი ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს, მოთხოვნებს საფინანსო დაწესებულების მიმართ და ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს.

კომპანიის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, სავალუტო და ლიკვიდობის რისკები. კომპანია წარმოადგენს „სოკარის“ მართვის ქვეშ მყოფი მსხვილი ჯგუფის ნაწილს. ფინანსური რისკების უმეტესობის ზედამხედველობა და კონტროლი ხდება „სოკარის“ დონეზე. ფინანსური ვალდებულებების უმეტესობა კომპანიას საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების მიმართ აქვს. კომპანიის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ნაღდი ფულის მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მეორე მხარე ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით ორგანიზაციას ფინანსური ზარალი მიადგება. კომპანიას საკრედიტო რისკი აქვს საოპერაციო საქმიანობის (ძირითადად, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები) და ფინანსური საქმიანობის ნაწილში, ასევე ბანკებსა და საფინანსო დაწესებულებებში განთავსებული ანგარიშებიდან გამომდინარე.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

21. ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა (გაგრძელება)**საკრედიტო რისკი (გაგრძელება)**

საკრედიტო რისკი ძირითადად კონტროლდება გადახდილ ავანსებზე მომსახურების გაწევით და ნაღდი ფულის განთავსებით საქართველოს მაღალი რეიტინგის მქონე ბანკებში, რომლებსაც კომპანიასთან უწყვეტი საქმიანი ურთიერთობა აკავშირებს. კომპანიის ხელმძღვანელობა მუდმივად აკონტროლებს იმ ბანკების სტატუსს, სადაც ანაზღაურებს აქვს განთავსებული და იმ სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ამოღებას, რომლებზეც ავანსის გადახდის ოფციონი არ არის წარმოდგენილი. 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ ჰქონდა გრძელვადიანი ანაზღაურები საბანკო ანგარიშებზე.

	2023	2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	106,602	12,314
მოთხოვნები საფინანსო დაწესებულებების მიმართ	–	45,934
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	30,726	18,907
მთლიანი საკრედიტო რისკის ზომა	137,328	77,155

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი გამოიხატება იმაში, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შეიძლება მერყეობდეს სავალუტო კურსის ცვლილების გამო. კომპანიისთვის დამახასიათებელი სავალუტო კურსის ცვლილების რისკი ძირითადად უკავშირდება უცხოურ ვალუტაში გამოხატულ ფინანსურ ვალდებულებებს.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია კომპანიის დასაბეგრი მოგების მგრძნობელობა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვალებადობის მიმართ, როცა ყველა დანარჩენი ცვლადი მუდმივია 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (2023 და 2022 წლებში ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებების გამო).

		ცვლილება გაცვლით კურსში	დაბეგვრამდე მოგების ეფექტი
2023	აშშ დოლარი	+10.00%	12,771
		-10.00%	(12,771)
2022	აშშ დოლარი	+10.00%	7,822
		-10.00%	(7,822)
2023	ევრო	+10.00%	(8)
		-10.00%	8
2022	ევრო	+10.00%	(555)
		-10.00%	555

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია უცხოურ ვალუტებში გამოხატულ შემდეგ ფინანსურ აქტივებს და ვალდებულებებს ფლობს:

	2023 წლის 31 დეკემბერი		2022 წლის 31 დეკემბერი	
	აშშ დოლარი	ევრო	აშშ დოლარი	ევრო
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	26,816	–	20,289	–
ფულადი სახსრები და მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	105,867	48	58,162	11
საიჯარო ვალდებულებები	–	–	–	(3,953)
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(2,956)	(123)	(228)	(947)
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	(2,021)	–	–	(658)
წმინდა პოზიცია	127,706	(75)	78,223	(5,547)

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

21. ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა (გაგრძელება)**ლიკვიდობის რისკი**

ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიას გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა რომელიმე ფინანსური აქტივით. ლიკვიდობის მართვის მიმართ კომპანიის მიდგომაა, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადადამდგარი ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა და კომპანიის რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე.

კომპანია თავისი ფულადი სახსრების დანაკლისის რისკს აკონტროლებს წმინდა მიმდინარე ფინანსური დავალიანების მაჩვენებლების რეგულარული გადამოწმებით. წმინდა მიმდინარე ფინანსური ვალი წარმოადგენს სხვაობას მთლიან მოკლევადიან ვალდებულებებსა და მოკლევადიან აქტივებს შორის. კომპანიის მიზანია ბალანსის შენარჩუნება მისი მიმდინარე ოპერაციების დაფინანსების უწყვეტობას და ძველი ვალდებულებების დასაფარი სახსრების დაგროვებას შორის.

ცხრილში ქვემოთ მოცემულია კომპანიის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული გადახდების საფუძველზე:

	1 წელზე თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	სულ
2023 წლის 31 დეკემბერი				
სავაჭრო ვალდებულებები	2,964	–	–	2,964
სხვა ვალდებულებები	2,594	1,185	2,021	5,800
სულ ფინანსური ვალდებულებები	5,558	1,185	2,021	8,764
	1 წელზე თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი				
სავაჭრო ვალდებულებები	1,480	–	–	1,480
საიჯარო ვალდებულებები	1,038	3,173	–	4,211
სხვა ვალდებულებები	2,311	1,006	658	3,975
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,829	4,179	658	9,666

22. ცვეთა და ამორტიზაცია

	2023	2022
ცვეთის ხარჯი ძირითად საშუალებებსა და აქტივების გამოყენების უფლებაზე (მე-9 შენიშვნა)	12,859	9,790
არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის დანარიცხი (მე-10 შენიშვნა)	123	104
ცვეთის და ამორტიზაციის მთლიანი დანარიცხი (მე-7 შენიშვნა)	12,982	9,894

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2023 წლის 31 დეკემბრის შემდეგ, კომპანიამ მესამე მხარისგან საზღაურის გარეშე მიიღო კონტროლი შავ ზღვაში CALM-ის ტივტივაზე. კომპანიის ხელმძღვანელობა ამასთან დაკავშირებულ ყველა შემთხვევას და ვითარებას აფასებს და ითვალისწინებს საბუღალტრო მიდგომას ამ გარიგებისთვის, გადაცემული აქტივის შეფასებასთან ერთად.

შპს „შავი ზღვის ტერმინალი“

სუბიექტის საიდენტიფიკაციო ნომერი : **204892170**

სუბიექტის სამართლებრივი ფორმა : **შ. პ. ს**

სუბიექტის საფირმო სახელწოდება/სახელწოდება : **შპს შავი ზღვის ტერმინალი**

სუბიექტის რეგისტრაციის თარიღი : **11/05/1996**

მარეგისტრირებული ორგანო : **ვაკის რაიონის სასამართლო**

იურიდიული მისამართი : **საქართველო, ხობის რაიონი, სოფელი ყულევი.**

ფაქტობრივი მისამართი : **ხობის რაიონი, სოფელი ყულევი**

საფოსტო ინდექსი : **5817**

ტელეფონი : **+99532 224 38 38**

ვებ-გვერდი : **<https://www.kulevioilterminal.com>**

ელ.ფოსტა : **info@bst.socar.az**

შპს „შავი ზღვის ტერმინალის“ (შემდგომში „კომპანია“) ძირითადი საქმიანობაა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადატვირთვა, შენახვა და ჩატვირთვა გემებში თავისი ძირითადი საოპერაციო აქტივის - საქართველოში, შავი ზღვის სანაპიროზე მდინარე ხობისწყლის შესართავთან მდებარე „შავი ზღვის ტერმინალის“ (შემდგომში „ტერმინალი“) მეშვეობით.

შპს „შავი ზღვის ტერმინალმა“ დაიწყო მუშაობა 2008 წლის ზაფხულში. გადასაზიდი ჯამური სიმძლავრე წელიწადში შეადგენს 10 მილიონ ტონას, მათ შორის სამი მილიონი ტონა ნავთობი, სამი მილიონი ტონა დიზელის საწვავი, ოთხი მილიონი ტონა მაზუთი.

„ტერმინალს“ გააჩნია 27 ავზი, მთლიანი მოცულობა სარეზერვუარო პარკის არის 402 ათასი კუბური მეტრი. ნავთობის მიღება-გადაზიდვის ოპერაციების განსახორციელებლად „ტერმინალს“ გააჩნია ორი ძირითადი და ერთი დამხმარე ნავმისადგომი, ძირითადი ნავმისადგომები აღჭურვილია 3 x 16 ტექნიკური მახასიათებლის ჩასატვირთი მოწყობილობით, რომელთა გადატვირთვის სიმძლავრე შეადგენს საათში 1000-8000 კუბურ მეტრს. ტერმინალს შეუძლია 40 000 -დან 100 000-მდე ტევადობის გემების მიღება. „ტერმინალს“ ემსახურება 6 სარკინიგზო ესტაკადა. სარკინიგზო ესტაკადებზე შესაძლებელია 208 სარკინიგზო ვაგონის ერთდროულად გადმოტვირთვა. ტერმინალს გააჩნია 6 სატუმბი სადგური.

„ტერმინალზე“ წლის განმავლობაში საშუალოდ 205 თანამშრომელი და 39 კონტრაქტორი ფიზიკური პირი იყო დასაქმებული. „ტერმინალის“ თანამშრომლები სარგებლობენ სხვადასხვა სახის უფასო მომსახურებით, მათ შორის: უფასო კვება, უფასო ჯანმრთელობის დაზღვევა, უფასო სატრანსპორტო მომსახურება.

„ტერმინალი“ მუდმივად ახორციელებს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას, რაც გამოიხატება სხვადასხვა სახის ტრეინინგებზე თანამშრომლების გაგზავნით, ტრეინინგები ტარდება როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე საზღვარგარეთ.

შპს „შავი ზღვის ტერმინალი“ მუდმივად აფინანსებს სხვადასხვა სოციალურ პროექტებს, ეხმარება ავადმყოფ მოქალაქეებს, აფინანსებს საფეხბურთო კლუბებს, სკოლებს, ეხმარება ომის ვეტერანებს, მიუსაფართა სახლებს და აფინანსებს სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებებს.

2018 წლის აპრილამდე „კომპანიის“ ერთპიროვნული მფლობელი იყო ნიდერლანდების კანონმდებლობის მიხედვით დაფუძნებული და ამავე ქვეყანაში რეგისტრირებული კომპანია კონსერვეიშენ ჰოლდინგ ბი.ვი. (Conservation Holding B.V.). 2018 წლის აპრილში „კომპანიის“ მესაკუთრეობა გადაეცა კვიპროსის კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებულ და ამავე ქვეყანაში რეგისტრირებულ რელექს ჰოლდინგს ლიმიტედს (Relax Holdings Limited), ხოლო 2023 წლის მაისიდან „კომპანიის“ ერთპიროვნული მფლობელი გახდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანია (SOCAR), (შემდგომში „მშობელი კომპანია“).

მმართველობითი ანგარიშგება

ქვემოთა ცხრილში მოცემულია მთავარი ფინანსური ინდიკატორები. თანხები მოცემულია ათას ლარში:

	2023	2022
შემოსავალი	104,909	74,798
გაცივებული პროდუქციის თვითღირებულება	(49,367)	(35,135)
საერთო მოგება	55,542	39,663
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(5,437)	(5,095)
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	–	(4,306)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(3,669)	(6,218)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	4,443	4,712
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება	50,879	28,756
ფინანსური შემოსავალი	516	169
ფინანსური ხარჯები	(333)	(872)
საკუროს სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა	787	(4,693)
წმინდა მოგება იჯარის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტიდან	663	–
მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე	52,512	23,360
მოგების გადასახადის ხარჯი	–	–
წლის მოგება	52,512	23,360

კომპანიის მიმდინარე და გრძელვადიანმა აქტივებმა 2023 წელს შეადგინა 317 490 ათასი ლარი (2022 წელს: 265 050 ათასი ლარი).

საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნის თანახმად „ტერმინალი“ სერთიფიცირებულია: ISO 9001 (ხარისხის მენეჯმენტის სისტემა), ISO 14001 (გარემოს მართვის სისტემა), OHSAS 18001 (შრომისა და უსაფრთხოების მართვის სისტემა).

სს „საქართველოს რკინიგზასა“ და შპს „შავი ზღვის ტერმინალს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად „ტერმინალმა“ მოახდინა სადგური ფართო წყლის და მასთან დაკავშირებული ოთხი სარკინიგზო ხაზის მშენებლობა, რომელიც 2012 წელს გადაეცა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს, სადგური მთლიანად აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს. ეს მნიშვნელოვანი მოვლენა დადებით გავლენას ახდენს „კომპანიის“ ეკონომიკურ განვითარებაზე, რაც აისახება შემდეგ მნიშვნელოვან პუნქტებში:

1. „ტერმინალი“ პროდუქტებს მიიღებს არა 20 კილომეტრით დაშორებულ სადგურ ჭალადიდში, არამედ 2 კილომეტრით დაშორებულ სადგურ ფართო წყალში.
2. „ტერმინალის“ ტვირთგამტარიანობა გაიზარდა 30%-ით.
3. „ტერმინალი“ წელიწადში აკეთებს დაახლოებით 80 000-90 000 დოლარის ეკონომიას, რაც ადრე იხარჯებოდა ჭალადიდი-ფართოწყლის მონაკვეთის ტექნიკურ მომსახურებაზე.

„კომპანიის“ საოპერაციო სტრატეგია იქმნება ძირითადი საქმიანობის განვითარებისათვის საოპერაციო საქმიანობის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად.

„კომპანიის“ სამოქმედო სტრატეგიის ძირითადი მიზანია წარმატებული ოპერაციის მიღწევა - რაც გულისხმობს საოპერაციო საქმიანობის შესრულებას უსაფრთხოდ და მაღალი ეფექტურობით. თითოეული ავზი აღჭურვილია ყველა იმ მოწყობილობით, რომელიც აუცილებელია უსაფრთხო ოპერაციის, ინსპექტირებისა და შენარჩუნების უზრუნველსაყოფად. ავზების მდგომარეობასთან დაკავშირებული ყველა არსებული ინფორმაცია გადაყვანილია საკონტროლო ოთახში ინტელექტუალური გადამცემებისა და დეტექტორების საშუალებით. საკონტროლო ოთახი განლაგებულია „ტერმინალში“ და აღჭურვილია ტექნოლოგიით, რათა გააკონტროლოს და მართოს ტექნოლოგიური პროცესები ავტომატური მართვის სისტემის მეშვეობით.

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად „ტერმინალზე“ განხორციელდა არსებული ავზების N15;17;20;22; მოდერნიზება, კერძოდ, დამონტაჟდა მოძრავი სახურავები, რაც საგრძნობლად შეამცირებს ნავთობპროდუქტების აორთქლებას.

ხარისხის კონტროლის მიზნით „ტერმინალზე“ მოქმედებს ლაბორატორია, რომელიც განკუთვნილია ნავთობპროდუქტების ქიმიური და ფიზიკური ანალიზისთვის და ახორციელებს ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ხარისხის კონტროლს.

100 000 მ/კუბ მოცულობის გემების მიღების მიზნით 2023 წელს განხორციელდა ნავსადგომის დაღრმავება, რაზეც მიახლოებით დაიხარჯა 10 630 000 ლარი. ნავსადგურის დაღრმავებითი სამუშაოები მიმდინარეობს 2024 წელსაც.

2022 წელთან შედარებით 2023 წელს გადაზიდული საქონლის რაოდენობა გაიზარდა დაახლოებით 11%-ით.

საწარმოს მიერ წარმოებული კვლევისა და განვითარების მიმოხილვა:

2023 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევით და განვითარების საქმიანობაში.

სამომავლო პროექტები:

2024 წელს განხორციელდა სატვირთო მანქანების გადმოტვირთვის სადგურის მოწყობა, ასევე გაკეთდა სატვირთო მანქანების დატვირთვის სადგური დიზელისა და ბენზინისთვის, მიმდინარეობს ჩამირული გემი სკადოვსკი-ს ამოღების სამუშაოები.

სატენდერო სტადიაშია შემდეგი პროექტები:

- LPG გადაზიდვის სისტემა;
- მე-7 სატანკო ფერმის მშენებლობა;
- პარაქსილენის 16 გათბობის და გამონადენის ბლოკის მონტაჟი;

უსაფრთხოება:

არსებობს სტანდარტული კომპლექტი ამოცანებისა, რომლებიც ტარდება უსაფრთხოების გუნდის მიერ. უსაფრთხოების გუნდი მონიტორინგს უწევს უზრუნველყოს „კომპანიის“ თანამშრომლების უსაფრთხოება. უსაფრთხოების გუნდი ჩართულია პროფილაქტიკური ღონისძიებების ორგანიზებაში, რათა შეამციროს პროფესიული დაზიანებები და დაავადებები რომლებიც გამოწვეულია წარმოების ფაქტორებით.

„კომპანია“ ახორციელებს და ინარჩუნებს ეფექტურ სტანდარტებს რისკების (PTW), იზოლაციისა და სამუშაოზე ხელმისაწვდომობის შესაფასებლად, რომლებიც აუცილებელია, რათა უზრუნველყოს, რომ ყველა პროცესები და ამოცანები ხორციელდება ჯანმრთელობის დაცვის მენეჯმენტისა და ხარისხის მართვის სისტემის მოთხოვნების შესაბამისად.

გარემოს დაცვა:

„შავი ზღვის ტერმინალის“ გეოგრაფიული მდებარეობის (კოლხეთის ეროვნული პარკის სიახლოვის) გათვალისწინებით, „კომპანიისთვის“ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია გარემოს დაცვა და დაბინძურების პრევენცია. „კომპანიამ“ განსაზღვრა „ტერმინალის“ ოპერაციებთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი ასპექტი და განახორციელა საჭირო შემარბილებელი ღონისძიებები. გარემოს დაცვის ღონისძიებებში მხედველობაში მიიღება ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შენახვისა და ტრანსპორტირების პროცესში ჩართული აღჭურვილობა, რომელიც ხელს უშლის გარემოში ნახშირწყალბადების შემთხვევით გაჟონვას და ამცირებს მავნე ნივთიერებების ატმოსფეროში გათავისუფლების შესაძლებლობას.

„შავი ზღვის ტერმინალი“ უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი მონიტორინგის, კვლევისა და რეაბილიტაციის ეროვნული კოლხეთის პარკის ფინანსურ მხარდაჭერას. „შავი ზღვის ტერმინალსა“ და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შორის დადებული ხელშეკრულების მოთხოვნების შესაბამისად, „ტერმინალი“ მუდმივად აკონტროლებს გარემოს. გარემოსდაცვითი მონიტორინგის პროცესი აღწერილია მონიტორინგის სქემაში, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. მიმდინარე მონიტორინგის სქემის თანახმად, „შავი ზღვის ტერმინალმა“ უნდა აწარმოოს გარემოს დაცვის დეტალური კვარტალური მონიტორინგი, რომელიც მოიცავს:

- ა. „ტერმინალის“ ტერიტორიაზე ნიადაგის ნიმუშების აღებასა და ლაბორატორიულ შემოწმებას ჰიდროკარბონის შემცველობაზე.
- ბ. მდინარე ცივასა და პორტის ტერიტორიიდან წყლის ნიმუშების ლაბორატორიულ შემოწმებას.
- გ. ჰაერის ხარისხის მონიტორინგს ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

კოლხეთის ეროვნული პარკი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში. იგი მოიცავს აღმოსავლეთ შავი ზღვის სანაპიროსა და პალიასტომის ტბის აუზს. პარკი ჩამოყალიბდა კოლხეთის ჭარბტენიანი ტერიტორიების, საერთაშორისო მნიშვნელობის ადგილების დაცვის მიზნით. შპს „შავი ზღვის ტერმინალსა“ და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად 2009 წლიდან „ტერმინალის“ მიერ კოლხეთის განვითარების ფონდში გადარიცხული თანხა 2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 18 948 101 ლარს.

ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა :

„კომპანიის“ ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება სავაჭრო კრედიტორული, გრძელვადიანი და მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებებისა და სხვა მიმდინარე ვალდებულებებისგან. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია „კომპანიის“ ოპერაციების დაფინანსება. „კომპანიის“ ძირითადი ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო დებიტორულ ანგარიშებს, მოთხოვნებს ფინანსური ინსტიტუტების მიმართ და ფულადი სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს.

„კომპანიას“ აქვს საკრედიტო, სავალუტო და ლიკვიდურობის რისკები. „კომპანია“ არის აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობკომპანიის (შემდგომში „სოკარი“) მიერ კონტროლირებული დიდი ჯგუფის ნაწილი. ფინანსური რისკების უმეტესი ნაწილი იმართება და კონტროლდება „სოკარის“ დონეზე. ფინანსური ვალდებულებების უმეტესობა „კომპანიას“ საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების მიმართ აქვს. „კომპანიის“ ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია „კომპანიის“ ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ნაღდი ფულის მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები.. საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მომწოდებელი ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით „კომპანიას“ ფინანსური ზარალი მიადგება. „კომპანიას“ საკრედიტო რისკი აქვს საოპერაციო საქმიანობიდან (ძირითადად სავაჭრო დებიტორული ანგარიშები) და ფინანსური საქმიანობიდან, ასევე ბანკებსა და ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული ანგარიშებიდან გამომდინარე.

საკრედიტო რისკი ძირითადად კონტროლდება ძირითად შემთხვევებში, მომსახურების გაწევით წინასწარ მიღებულ ავანსებზე და ნაღდი ფულის განთავსებით საქართველოს მაღალი რეიტინგის მქონე ბანკებში, რომლებსაც „კომპანიასთან“ უწყვეტი საქმიანი ურთიერთობა აკავშირებთ. „კომპანიის“ ხელმძღვანელობა მუდმივად აკონტროლებს იმ ბანკების სტატუსს, სადაც ანაბრები აქვს განთავსებული და სავაჭრო დებიტორული ანგარიშების ამოღებას.

„კომპანია“ სავალუტო რისკს მართავს უცხოურ ვალუტაში ნაღდი ფულის ნაშთებით. სავალუტო რისკს ისიც ამცირებს, რომ შემოსავლებთან დაკავშირებული გარიგებების დიდი ნაწილი აშშ დოლარშია.

ლიკვიდურობის რისკი:

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ „კომპანიას“ გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა რომელიმე ფინანსური აქტივით. ლიკვიდურობის მართვის მიმართ „კომპანიის“ მიდგომაა, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდურობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა და „კომპანიის“ რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე.

„კომპანია“ თავისი ფულადი სახსრების დანაკლისის რისკს აკონტროლებს წმინდა მიმდინარე ფინანსური დავალიანების მაჩვენებლების რეგულარული გადამოწმებით. წმინდა მიმდინარე ფინანსური ვალი წარმოადგენს სხვაობას მთლიან მიმდინარე ვალდებულებებსა და მიმდინარე აქტივებს შორის. „კომპანიის“ მიზანია, არსებული ოპერაციების დაფინანსებასა და ძველი ვალდებულებების დასაფარად ფულადი სახსრების დაგროვებას შორის ბალანსი დაიცვას.

წინასწარი გადაწყვეტილება.

2023 წლის 17 ივლისს კომპანიამ მიმართა შემოსავლების სამსახურს წინასწარი გადაწყვეტილების გამოტანის თხოვნით, წინასწარი გადაწყვეტილება ეხებოდა კომპანიის მიერ თანამშრომლებსა და კონტრაქტორ ფიზიკურ პირებზე მიწოდებული უფასო კვების, უფასო ტრანსპორტირების და საცხოვრებლით უფასო მომსახურების საშემოსავლო და დღგ-ს გადასახადისაგან განთავისუფლებას, სსკ-ის 101-ე მუხლის მე-3 ქვემუხლის გ) და ვ) პუნქტების თანახმად.

კომპანიამ შემოსავლების სამსახურიდან მიიღო წინასწარი გადაწყვეტილების პროექტი, რის საფუძველზეც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა კომპანიის მოთხოვნა, კერძოდ საშემოსავლოსა და დღგ-ს ნაწილში განთავისუფლდნენ მხოლოდ შრომითი ხელშეკრულებით მყოფი თანამშრომლები, ხოლო კონტრაქტორ ფიზიკურ პირებზე შეღავათები არ გავრცელდა.

შემოსავლების სამსახურიდან მიღებული წინასწარი გადაწყვეტილების საფუძველზე 2020 წლის აგვისტოდან 2023 წლის სექტემბრამდე დაკორექტირდა საშემოსავლო და დღგ-ს დეკლარაციები, კორექტირების შედეგად ბიუჯეტიდან მობრუნებულმა თანხამ შეადგინა 1 020 766 ლარი.

ილგარ ალი-ზადა	მამუკა წულუკიძე
გენერალური დირექტორი	ფინანსური დირექტორი
6 თებერვალი 2025 წელი	6 თებერვალი 2025 წელი

ლიკვიდურობის რისკი:

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ „კომპანიას“ გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა რომელიმე ფინანსური აქტივით. ლიკვიდურობის მართვის მიმართ „კომპანიის“ მიდგომაა, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდურობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა და „კომპანიის“ რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე.


„კომპანია“ თავისი ფულადი სახსრების დანაკლისის რისკს აკონტროლებს წმინდა მიმდინარე ფინანსური დავალიანების მაჩვენებლების რეგულარული გადამოწმებით. წმინდა მიმდინარე ფინანსური ვალი წარმოადგენს სხვაობას მთლიან მიმდინარე ვალდებულებებსა და მიმდინარე აქტივებს შორის. „კომპანიის“ მიზანია, არსებული ოპერაციების დაფინანსებასა და ძველი ვალდებულებების დასაფარად ფულადი სახსრების დაგროვებას შორის ბალანსი დაიცვას.

წინასწარი გადაწყვეტილება.

2023 წლის 17 ივლისს კომპანიამ მიმართა შემოსავლების სამსახურს წინასწარი გადაწყვეტილების გამოტანის თხოვნით, წინასწარი გადაწყვეტილება ეხებოდა კომპანიის მიერ თანამშრომლებსა და კონტრაქტორ ფიზიკურ პირებზე მიწოდებული უფასო კვების, უფასო ტრანსპორტირების და საცხოვრებელი უფასო მომსახურების საშემოსავლო და დღგ-ს გადასახადისაგან განთავისუფლებას, სსკ-ის 101-ე მუხლის მე-3 ქვემუხლის გ) და ვ) პუნქტების თანახმად.

კომპანიამ შემოსავლების სამსახურიდან მიიღო წინასწარი გადაწყვეტილების პროექტი, რის საფუძველზეც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა კომპანიის მოთხოვნა, კერძოდ საშემოსავლოსა და დღგ-ს ნაწილში განთავისუფლდნენ მხოლოდ შრომითი ხელშეკრულებით მყოფი თანამშრომლები, ხოლო კონტრაქტორ ფიზიკურ პირებზე შეღავათები არ გავრცელდა.

შემოსავლების სამსახურიდან მიღებული წინასწარი გადაწყვეტილების საფუძველზე 2020 წლის აგვისტოდან 2023 წლის სექტემბრამდე დაკორექტირდა საშემოსავლო და დღგ-ს დეკლარაციები, კორექტირების შედეგად ბიუჯეტიდან მოზრუნეულმა თანხამ შეადგინა 1 020 766 ლარი.


ილგარ ალი-ზადე

გენერალური დირექტორი

6 თებერვალი 2025 წელი


მამუკა წულუკიძე

ფინანსური დირექტორი

6 თებერვალი 2025 წელი